# პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**რეგიონების მხარდაჭერა მდგრადი განვითარებისთვის (ARSD)**

**განხორციელების ვადა:** 02.10.2017 - 01.10.2019

**EaP ქვეყნები:**
Georgia

**ევროკავშირის წვლილი:** € 495 000

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
CENTRE FOR TRAINING AND CONSULTANCY, People in Need, Institute of Democracy (IOD)

**სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:**
facebook.com/ctc.org.ge/

**პროექტის აღწერა:**

კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC) პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: ადამიანი გაჭირვებაში (PIN) და დემოკრატიის ინსტიტუტი (IOD) ახორციელებს 2 წლიან პროექტს: ,,რეგიონების მხარდაჭერა მდგრადი განვითარებისთვის“ ARSD.

პროექტის სტრატეგიული მიზანია მეტად ინფორმირებული რეგიონული პოლიტიკის კეთების წახალისება.

პროექტი მოიცავს ერთობლივი ქვეგრანტების გაცემას, რეგიონში არსებული აკადემიური ინსტიტუტებისა და რეგიონული განვითარების საკითხზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების კვლევითი ორგანიზაციებისთვის. პროექტის ფარგლებში, შემუშავდება რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა კვლევები, ჩატარდება ტრენინგები ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების(LAGs) და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის, შეიქმნება პროფესიული განვითარების კურსი საჯარო მოხელეებისთვის, შემუშავდება ონლაინ კურსი რეგიონული განვითარების საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებისთვის. ასევე, მოეწყობა რეგიონული განვითარების ეროვნული ფორუმი და კონფერენცია.

**მოსალოდნელი შედეგები:**

•  შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები ჩართულნი არიან მრავალმხრივ დიალოგში და გაძლიერებულია კომუნიკაციის მექანიზმები მეტად ინტეგრირებული რეგიონული პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული სფეროების დაგეგმვასა და განხორციელებაში

•  რეგიონული განვითარების სტრატეგია, ასევე რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისა და შეფასების პროცესი არის უფრო ეფექტური, ინკლუზიური და მონაწილეობითი

•  ევროპული გამოცდილების გაზიარების შედეგად, გაძლიერებულია რეგიონული/ტერიტორიული განვითარების პოლიტიკაში ჩართული სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობები

•  რეგიონებისა და ურბანული ცენტრების ინკლუზიური და სწრაფი სოციალურ ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემუშავებულია გამოყენებითი კვლევები აკადემიური დაწესებულებებისა და კვლევითი რგანიზაციების თანამშრომლობით